

წალიწადი
პირველი

მოამბე

ზაბათი, ივლისის 23

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 12

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 12

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელის ქ. № 1.
(უფოე — კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

საწვდამო საქმეებზედ მოლაზარაკება შეიძლება ეო-
ველ დდეუ—სადამის 5-დან 7 სადამდე.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 51

კინო-ფეატრების ნაციონალიზაციის შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კინო თეატრი—მთელი მისი ქონებით და მოწყობილობით—გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო საკუთრებად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავ-
მჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი ოუმანიშვილი.
რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ივლისის 11.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 52

დამზღვევ საზოგადოებათა ნაციონალიზაციის შესახებ.

რადგან არსებულ დამზღვევ საზოგადოებათა კო-
მერციული ხასიათი აქვთ, რაც სრულიად ეწინააღ-

მდგება მშრომელთა სახელმწიფოს საფუძველს და რადგანაც საბჭოთა წესწყობილებით ყოველგვარი დაზღვევა უნდა იკისროს თვით სახელმწიფომ, საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტი ადგენს:

1. ყველა დამზღვევი საზოგადოება მთელი მი-
სი ქონებით გამოცხადებული იქნეს სახელმწიფოს საკუთრებად ნაციონალიზაციის საფუძველზე.

2. ვიდრე დაზღვევის საქმე ახალ საფუძველზე მოწყობოდეს, ყველა ის დამზღვევი საზოგადოება, რომლის ფუნქციას, სხვა ოპერაციებს შორის, შეადგენს სიცოცხლის დაზღვევა, გადაეცეს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობას, ხოლო ყველა დანარჩენი დამზღვევი საზოგადოება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობას.

3. დამზღვევი საზოგადოებათა ქონება, წაღ-
ებული სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესე-
ბულებების ან ცალკე პირების მიერ, დაებრუნოს კუთვნილებისამებრ—სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ან სახალხო მეურნეობის უმაღ-
ლეს საბჭოს.

4. ნაციონალიზაცია ქმნილ დამზღვევ საზოგა-
დოების საქმეთა ლიკვიდაციისათვის სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარმა დანიშნოს განსა-
კუთრებული კომისარი.

5. დავალოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარს შეიმუშაოს პროექტი დეკრეტისა სიცოცხლის დაზღვევის შესახებ, ხოლო სახალხო მეურ-
ნეობის უმაღლეს საბჭოს—პროექტი დეკრეტისა ქო-
ნების დაზღვევის შესახებ.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **თოდრია.**

რევ. კომიტ. მდივნი **აღ. სალარიძე.**
1921 წ., ივლისის 11.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 53.

საქართველოდან კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საგნების გატანის აკრძალვის შესახებ.

იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს ხალხის კულტურული განძეულობა, განსაკუთრებული მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საგნები, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს გატანა რესპუბლიკის საზღვრებიდან, ვისგანაც უნდა იყოს, ვასაყიდათ თუ შესანახად,—განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად, განსაკუთრებული მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთებისა და აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის ღირებულებათა, როგორც არის: წიგნები, სამეცნიერო და სასწავლო—თვალსაჩინო სახელ-მძღვანელოები, მუსიკალური საკრავები (ინსტრუმენტები), ნოტები, თეატრალურ-სამხატვრო ნივთები, კინომატოგრაფიული და საკანცელარიაო ხელსაწყო.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

განათლების სახ. კომისარი **თუმანიშვილი.**
რევ. კომიტ. მდივანი **აღ. სალარიძე.**

1921 წ., ივლისის 11.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 54

საქართ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტისა

აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც ნაწილად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ამ ეხმად უქირავს აჭარის ხალხს, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით—ზათომის ოლქის არსებული ადმინისტრაციული საზღვარი, ხოლო სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით—საქართველოს ს. ს. რ. და ოსმალეთის შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის ხაზი და ქალ. ზათომში იქნეს მისი ცენტრი.

2. აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გამგებლობის ორგანოებად ჩაითვალოს: მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომელნიც არჩეულ უნდა იქნენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე.

3. აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქმეთა გამგებლობისათვის დაარსდეს შემდეგი სახალხო კომისარიატები:

- ა) შინაგან საქმეთა;
- ბ) იუსტიციისა;
- გ) განათლებისა;
- დ) ჯანმრთელობისა;
- ე) სოციალური უზრუნველყოფისა;
- ვ) მიწათმოქმედებისა;
- ზ) სასურსათო;
- ი) ფინანსთა;
- თ) სახალხო მეურნეობის საბჭო—გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებით;
- კ) შრომისა და
- ლ) მშენებთა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატი.

შენიშვნა 1: აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს კომისარიატების რიცხვი შეიძლება შემცირებულ იქნეს ზოგიერთ კომისარიატების შეერთებისა ან მათი შეთავსების სახით, მხოლოდ საქართველოს ს. ს. რ. მთავრობისათვის წინასწარი ცნობის გავზავნისა და მისგან დასტურის მიღების შემდეგ.

შენიშვნა 2: საგარეო საქმეები და საგარეო ვაჭრობა მთლიანად რჩება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეებს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს და რომელიც მოწყობილ უნდა იქნეს უკანასკნელის მიერ, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს განაგებს საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოები, რომელნიც მოწყობილ უნდა იქნენ აჭარის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

4. რათა დაცულ იქნეს ფინანსური და სახალხო მეურნეობის პოლიტიკის მთლიანობა, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლი-



კის მთელს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, ფინანსთა, შრომის, სახალხო მეურნეობის საბჭო—გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებით და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა—რჩებიან საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარებაში. ამასთანავე ამ უკანასკნელთა ყველა განკარგულებათ და ღონისძიებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფარგლებში განახორციელებენ აჭარის სათანადო სახალხო კომისარიატები სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით.

შენიშვნა: მე-4-ე მუხლში აღნიშნული კომისარიატების სახალხო კომისრები დაინიშნებიან საქართველოს ს. ს. რ. სათანადო კომისარიატების მიერ,—აჭარის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო მათ დაამტკიცებს აჭარის მეჯლისი.

5. აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოციალური უზრუნველყოფისა და მიწათ-მოქმედებისა ავტონომიურად მოქმედებენ და პასუხისმგებელი არიან საქართველოს სათანადო უმაღლესი ორგანოების წინაშე, აჭარის მეჯლისის საშუალებით.

6. ყოველგვარი საჭირო ფინანსური და ტექნიკური სახსარი აჭარის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკას ეძლევა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საშუალებიდან.

7. რადგან ჩაქვის სახელმწიფო მამულს, პოპოვისეულ მამულს და ბოტანიკურ ბაღს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ეს მამულები დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, ხოლო აჭარის რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს უფლება მიეცეს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამ მამულების გამგე ორგანოში, თანაბრად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა.

8. აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე, მთელი ძალა-უფლება აჭარის ს. ს. ავტონომიურ რესპუბლიკაში—ამ დეკრეტით დაწესებული საზღვრების ფარგლებში—ეკუთვნის აჭარის მეჯლისს, რომელიც მოქმედებს აჭარის რევოლიუციონური კომიტეტის უფლებებით და რომლის მოვალეობასაც შეადგენს ამ დეკრეტის მე-4-ე მუხ. მოხსენებული სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი საბჭოების მოწყობა და აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევა ახლო მომავალში.

9. აჭარის ს. ს. რესპუბლიკის მეჯლისისა, სახალხო კომისართა საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მთელი საქმის წარმოება უნდა იქნეს დღე-ენაზე.

10. აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებს დაწესებული გამოარკვევს აჭარისა და აჭარის მომიჯნავე მხარეების წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისია საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ა. ქავთარაძე.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 16.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 55

საქართ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტისა

რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთათვის დისციპლინარული და ადმინისტრაციული სასჯელის დაწესების შესახებ.

რათა საბჭოთა დაწესებულებებში სამსახურის დისციპლინა განმტკიცებული იყოს და თანამშრომელთა შეგნება სამსახურის მოვალეობისა სათანადო სიმაღლეზე იდგეს, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქნეს ქვემოთ აღნიშნული წესი იმ მოსამსახურეთა დასჯისა, რომელნიც დაარღვივენ სამსახურის წესრიგს:

1. დისციპლინარული წესით დასჯის უფლება:
ა) ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წევრისა, იმის განუჩეგლად—გამგეა იგი განყოფილებისა თუ არა,—ეკუთვნის საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს; ბ) თემის და რაიონის რევოლიუციონური კომიტეტის წევრის დასჯა—შაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს.

2. დისციპლინარული წესით დასჯის უფლება აქვს სახალხო კომისარს თავისი უწყების ყველა ცენტრალური და სხვა ქვემდებარე დაწესებულებების ყოველი მოსამსახურისა;—ხოლო კოლეგიის წევრს—იმ განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა მოსამსახურისა, რომელთაც თვით განაგებს.

შენიშვნა: ყოველი შემთხვევა დისციპლინარული დასჯისა უნდა მოხსილდეს კომისარიატის კოლეგიას უახლოეს ხდომიანზე.

3. იმავე დისციპლინარული წესით დასჯის უფლება აქვს შაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს ყველა მისი ქვემდებარე დაწესებულების და განყოფილების მოსამსახურისა; განყოფილების გამგეს კი შეუძლიან დასაჯონ მხოლოდ თავისი განყოფილების მოსამსახურე.

4. ცნობა ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წევრის დისციპლინარული წესით დასჯის შესახებ ეგზავნება სათანადო რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო მოსამსახ-

ხურეთა ამგვარივე დასჯის შესახებ—განყოფილების გამგეს.

5. ზემოხსენებულ დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ უფლება აქვთ შემდეგი სასჯელის დადებისა:

- ა) საყვედური,
- ბ) საყვედური—გაზეთებში გამოქვეყნებით;
- გ) დაპატიმრება ორ კვირამდე;
- დ) სამსახურისაგან გადაყენება.

შენიშვნა: დისციპლინარული წესით დაპატიმრებისა და სამსახურისაგან გადაყენების უფლება არა აქვთ განყოფილებათა გამგეთ. აგრეთვე მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს არა აქვს უფლება—დისციპლინარული სასჯელის სახით—სამსახურისაგან გადაყენებისა.

6. დისციპლინარული სასჯელის დადების შესახებ ჩაიწერება იმ დაწესებულების განსაკუთრებულ დაეთარში, სადაც მსახურობს სასჯელდებული და აგრეთვე მის პირად ნამსახურობის სიაში.

7. უკეთუ დაპატიმრებით სასჯელდებულს სასწრაფო სამუშაო აქვს და ამას ერთხმად სცნობს მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმში, შეიძლება სასჯელის მოხდის ვადა ერთის კვირით გადაიდოს. შეტის ხნით დასჯის შეჩერება ექვემდებარება მხოლოდ იმ დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, რომელმაც განუჩინა სასჯელი.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 14. ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 56

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

ერთდროული საგანგებო სანიტარული გადასადის შესახებ.

რათა სასწრაფოთ და სათანადო გეგმით მოწყობილ იქნეს ბრძოლა ხოლერისა და სხვა გადამდებ სენთა წინააღმდეგ, რომელთა გავრცელება უკვე საქარის საფრთხეს წარმოადგენს მთელი რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი მუშებისა, გლეხებისა და წითელ არმიელთათვის,—საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქარო ფონდის შესადგენად დაწესებული იქნეს საქართველოს მთელი მოსახლეობის შემძლე ნაწილისათვის ერთდროული საგანგებო სასანიტარო გადასახადი, რომლის საქმის მოწყობა და აკრეფა განხორციელებული იქნეს უსწრაფესი ტემპით.

2. საერთო რაოდენობა ერთდროული საგანგებო სასანიტარო გადასახადისა განისაზღვროს ორმოცდაათი მილიარდი (50,000,000,000) მანეთით.

3. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს—განახორციელოს დეკრეტი ესე ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

4. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარს—შეიმუშაოს ინსტრუქცია—გადასახადის აკრეფის წესის შესახებ.

5. ის, ვინც არ აღასრულებს ამა დეკრეტის მოთხოვნილებათ და განუდგება გადასახადის გადახდას ბოროტის მიზნით, მიეცეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალს და დაისაჯოს რევოლიუციონური დროის კანონის სრულის სიმკაცრით.

6. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სვანიძე.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ივლისის 16.

ქ. ტფილისი,—სასახლე.

დადგენილება № 26

საქართ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს დაარსების შესახებ.

1. ყველა იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედების გაერთიანებისათვის, რომელნიც ამ უამად ლტოლვილთა და ტყვეთა საქმეებს განაგებენ და აგრეთვე მცხოვრებლების მასიური გადაყვანა-გადმოყვანის (გარდა სამხედრო დანიშნულების) საქმის მოწესრიგებისათვის, დაარსდეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ევაკუაციის ცენტრალი სამმართველო, როგორც ცალკე დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

2. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოს განაგებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, შინაგან საქმეთა კომისარის დანიშვნით.

3. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოსთან უნდა დაარსდეს კოლეგია, რომელშიაც შევლენ მუდმივ წევრებად: თითო წარმომადგენელი სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, ამიერ-კა-

ვკასიის გაერთიანებული რკინის გზების სამმართველო-სი, საქართველოს საგანგებო საგამომძიებლო კომისიისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.

შენიშვნა: ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს კოლეგიაში თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის ის წევრი, რომელიც განაგებს ევაკუაციის სამმართველოს.

4. ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოს ევალება: 1) მოწყობა და სისრულეში მოყვანა უწყებების მიერ გათვალისწინებულ მცხოვრებლების მასიური გადაყვანა-გადმოყვანის საქმისა (გარდა სამხედრო დანიშნულებისა); 2) ლტოლვილთა და ტყვეთა რეევაკუაციის მოწყობა; 3) გადასაცვანი კონტიგენტების კმაყოფა სანიტარული დახმარებით, საკვებით და სხვ., დაინტერესებულ უწყებებთან შემუშავებულ ინსტრუქციის თანახმად.

შენიშვნა: აღნიშნულ მცხოვრებთა კონტიგენტების მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ნებართვით.

5. ევაკუაციის ცენტრალი სამმართველო შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან: 1) ადმინისტრაციული, — რომელიც აწესებს და განაგებს ცალკე პუნქტებს, აღრიცხავს მათ მუშაობას და უწევს სანიტარულ დახმარებას; 2) სატრანსპორტო-საევაკუაციო, რომელიც განაგებს გადაყვანა-გადმოყვანის საქმეს, არკვევს გადასაცვანი კონტიგენტების რაოდენობას, ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს ლტოლვილთა და ტყვეთა გაცვლისა და გადაყვანის საქმეებს; 3) მომარაგების განყოფილება, რომელიც განაგებს პუნქტების საშენო ნაწილის მოწყობის საქმეს, ამარაგებს საევაკუაციო კონტიგენტებს საგზალით და ყოველგვარი ნივთიერი კმაყოფით, და აგრეთვე აღრიცხავს და კონტროლს უწევს საგზალის განაწილებას.

6. ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებათ ითვლება ბაზისა და ხაზის პუნქტები, რომელნიც დაარსებულ იქნებიან ადგილობრივი რეეკომების შინაგანი მმართველობის განყოფილებებთან, ამასთანავე ზემოხსენებულ პუნქტების სახსნელ ადგილებს აწესებს ევაკუაციის ცენტრალისამმართველო და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

7. სარაიონო ბაზის და ხაზის პუნქტები შესდგება შემდეგი განყოფილებათაგან: 1) ადმინისტრაციული; 1) საფინანსო-სამშენოსა და 3) საევაკუაციო-სატრანსპორტოსაგან.

8. ბაზის პუნქტების გამგეთ ნიშნავს ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს კოლეგია უშუალოდ და იმ კანდიდატებიდან, რომელთაც წარმოადგენს ადგილობრივი რეეკომი.

შენიშვნა: ბაზის პუნტის გამგე უშუალოდ ექვემდებარება ევაკუაციის ცენტრალ სამმართველოს გამგეს, ხოლო იმავე დროს იგი სათანადო რეეკომის თვალყურისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება.

9. ევაკუაციის ცენტრალი სამმართველოს ყველა დადგენილებანი მისი მოქმედების სფეროს საკითხების ფარგლებში, სავაოდებულთა საქმე-თველოს ს. ს. რ. ყველა დაწესებულებათათვის.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

შინ. საქმეთა სახ. კომისარი კვიციანი.

რევ. კომ. მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივნისის 10.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 38

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

სახელმწიფოს კუთვნილი ქონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

1. სასტიკად აკრძალულია სახელმწიფოს კუთვნილი ყოველგვარი ქონებით და საგნებით ვაჭრობა.

2. ყველა, ვინც კი შენიშნული იქნება სახელმწიფოს კუთვნილი საგნების შესყიდვასა და გაყიდვაში პასუხისმგებლობაში იქნება მიცემული რევოლუციონური დროის კანონების თანახმად და დაისჯება უმაღლესის სასჯელით.

საქ. ს. ს. რ. რევოლუცი.

კომიტ. თავმჯ. ფ. მახარაძე.

რევ. კომიტ. მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ., ივლისის 5.

ტფილისი —სასახლე.

დადგენილება № 40

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

ქალაქ ტფილისის განტვირთვის შესახებ.

რადგანაც ქალაქი ტფილისი მეტის-მეტადჭკიდ-როდ არის დატვირთული მცხოვრებლებით და განიცდის დიდ სასურსათო გაჭირვებას, —ამასთანავე თავი იჩინა გადამდებმა ავადმყოფობამ, —საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტი აუცილებელ საჭიროებად სთვლის ქალაქის განტვირთვის (შემსუბუქებას) და ამის გამო ადგენს:

1. ყველა ის პირი: ა) რომელიც დაკავშირებული არ არის ქალაქ ტფილისთან მკვიდრი მოსახლეობით და ბ) რომელიც თავისი ცხოვრების საშუალებას არა საზოგადო-სასარგებლო შრომით ჰპოვებს, —ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში დლიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, —დასტოვოს ქალაქი ტფილისი.

შენიშვნა: ამ პირთა შორის საქართველოს მოქალაქენი უნდა წავიდნენ იმ ადგილას, სადაც ადმინისტრაციულად მიწერილი არიან.

2. ტფილისიდან ლტოლვილთა გაყვანა და მათთვის მზრუნველობა დაევალოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს.

შენიშვნა: ამავე სამმართველოს დაევალოს ტფილისიდან გაყვანა და მზრუნველობა ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულთა შორის ისეთი პირებისა, რომელთაც, სამმართველოს გადაწყვეტილებით, თვით არ შეუძლიან ტფილისიდან გასვლა სრული ნივთიერი უსახსრობის გამო.

3. ამა დადგენილების პირველი მუხლი არ ვრცელდება იმ უმუშევრებზე, რომელნიც ამა დადგენილების გამოცხადებამდე ჩაწერილნი იყვნენ საქართველოს მუშათა პროფესიონალური კავშირების უმუშევართა აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში.

4. ამ დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს საუწყებთა შორის კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალური განყოფილებისა, ქალაქ ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისა, შრომის კომისარიატისა და საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან.

5. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქ. სახ. კომისარი ბ. კვიციანი. რევ. კომიტ. მდივანი ალ. სარალიძე.

1921 წ., ივლისის 14. ქ. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 41

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

პირდაპირი მავთულით სარგებლობის წესის შესახებ.

1. პირდაპირი მავთულით სარგებლობის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, მის პირად მდივანს, მთავრობის საქმეთა მმართველს, რევოლ. კომიტეტის მდივანს, სახალხო კომისარებს, საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ან მათ რწმუნებულთ, უკეთუ იგინი წარმოადგენენ სათანადო მანდატს ყოველ თვითეულ შემთხვევისათვის.

აგრეთვე მაზრების რევკომის ან აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთ. უკანასკნელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან თვითონ პირადად აწარმოონ მოლაპარაკება.

სხვა შემთხვევაში, როდესაც საჭიროება მოითხოვს—მიეცეს ვისმე მუდმივი უფლება პირდაპირი მავთულით სარგებლობისა, ამის შესახებ დასტური მთავრობის თავმჯდომარემ უნდა დართოს.

შენიშვნა: სამხედრო უწყების დაწესებულებათა მიერ პირდაპირი მავთულით სარგებლობის წესი ცალკე იქნეს შემუშავებული.

2. ყოველ თვითეულ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იქნება პირდაპირი მავთულით მოპარაკი, მავთულის გამგეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ ორი საათით მანც ადრე და ისიც, თუ რომელ დაწესებულებიდან ვინ უნდა იქნეს მოწვეული აპარატთან, რისთვისაც დაინიშნება განსაზღვრული დრო.

შენიშვნა: თითოჯერ მოპარაკი უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს ოცდაათი წუთისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი კვიციანი.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 13. ქ. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 42

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტ. ამა 1921 წ. ივნისის 10-ს დადგენილების ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს დაარსებისა მე-3-ე მუხლის შეცვლის შესახებ.

ამა 1921 წლის ივნისის 10-ს დადგენილების (№ 26) მე 3 მუხლის შესაცვლელად და განსავითარებლად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს გამგეს—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს, ან მის მოადგილეს—შოიწვიოს ხოლმე ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოსთან,—საჭიროებისდაკვალად, თვისი გადაწყვეტილებისამებრ,—თათბირი დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელთაგან.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

რევ. კომ. მდივანი ა. სალარიძე.

1921 წ., ივლისის 14. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 43

საქართ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო თათბირის დაარსების შესახებ.

1. რათა რესპუბლიკის ეკონომიური ხასიათის ყველა სახალხო კომისარიატის მოქმედება დამყარებული იყოს ერთ შემათანხმებელ საფუძველზე, — მათი მუშაობა სასურსათო საქმესა და ამ დარგის თანაზიარ სხვა სფეროში სწარმოებდეს თანაბრად — ეკონომიური პოლიტიკის საერთო მიმართულებისამებრ, და მოსპობილი იქნეს ის საუწყებათაშორისო წინააღმდეგობანი, რომელიც გამოწვეულია უმთავრესად მათი ძალკერძ მოქმედებით, — დაარსდეს სასურსათო თათბირი საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობითა და სასურსათო სახალხო კომისრისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარისა, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრისა, ფინანსთა სახალხო კომისრისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მონაწილეობით.

2. სასურსათო თათბირს ეკუთვნის:
 ა) სასურსათო პოლიტიკის მიზნისა და საგანის გათვალისწინება და უმაღლესი ზედამხედველობა მათი განხორციელებისათვის;

ბ) მთელი სასურსათო აპარატის გაერთიანება (უნიფიკაცია);

გ) სასურსათო პროდუქტებისა, ფართო მოხმარების საგანთა და სასოფლო მეურნეობის წარმოების ნედლი მასალის დამზადებისათვის საშუალებათა აღმოჩენა;

დ) იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამოკვლევა, რომელიც ხელს უშლის სასურსათო მუშაობის ნაყოფიერებას და ამ მიზეზთა მოსპობა;

ე) კოოპერაციის დახმარება და ხელშეწყობა საჭირო საგანთა დასამზადებლად.

სასურსათო თათბირის ყოველი ბრძანებისა, დადგენილებისა და განკარგულების დაუყოვნებლივ აღსრულება სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა უწყებისა, დაწესებულებისა, თანამდებობის და კერძო პირისათვის, — წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

4. სასურსათო თათბირს უფლება აქვს გადააყენოს თანამდებობისაგან ყოველი პირი, რომელიც შენიშნული იქნება სასურსათო და სატრანსპორტო ხასიათის ბოროტმოქმედებაში, ან მისი დადგენილების აღუსრულებლობისა ან და არამიზან შეწონილი აღსრულებისათვის და ამასთანავე აღძრას მის წინააღმდეგ ბრალდება სასამართლოს ან აღმინისტრაციული წესით.

5. სასწრაფო, გადაუდებელი საკითხის გადაწყვეტა მიენდობა სასურსათო თათბირის თავმჯდომარეს, სასურსათო სახალხო კომისარსა და კომუ-

ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან შეთანხმებით. ამასთანავე, დადგენილებაში საკითხების შესახებ უნდა წარედგინოს დასაშვებ ცებლად სასურსათო თათბირის არა უგვიანეს ერთი კვირისა.

6. სასურსათო თათბირის სხდომები იმართება ყოველ კვირა.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**

რევოლ. კომიტ. მდივანი **აღ. საღვარაძე.**

921 შ. ივლისის 14.
 ფილისი — სასახლე.

დადგენილება

საარჩევნო უფლებისა სახალხო მოსამართლეთა არჩევისათვის.

1. სახალხო მოსამართლის არჩევის უფლება და ის უფლება, რომ თვით იქნეს სახალხო მოსამართლედ არჩეული, აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის ქვემოდ ჩამოთვლილ მოქალაქეთ, რომელნიც არჩევნების დღისათვის უკვე 18 წლისანი იქნებიან, განურჩევლად სარწმუნეობისა, ეროვნებისა, ბინადრობისა და სხვ., სახელდობრ:


ა. ყველა მოქალაქეს, რომელიც ცხოვრების საშუალებას ნაყოფიერისა და საზოგადო სასარგებლო შრომით ჰპოულობს, (მაგალითად, მუშები და ყოველგვარი სახისა და კათეგორიის მოსამსახურენი, რომელნიც მეცადინეობენ მრეწველობასა, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში;

2. იმ პირთ, რომელნიც აწარმოებენ შინაურ მეურნეობას და ამით პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთ საშუალებას აძლევენ ნაყოფიერი შრომისათვის, — და 3. იმ გლეხთა, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას არ მიმართავენ.

ბ. წითელ არმიელთ და წითელ ფლოტის მებრძოლთ.

გ. იმ მოქალაქეთ, რომელნიც ამა მუხლის ა-სა და ბ-ს პუნქტებში არიან ჩამოთვლილნი, მაგრამ რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავეთ.

შენიშვნა: იმ პირთ, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა არ მოუპოვებიათ, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მიეცემათ ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის ნებადართვით, — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ქვეყნების ისეთ მოქალაქეთ, რომელნიც მუშათა



კლასს ეკუთვნის ან არა დაქირავებული შრომით მომუშავე გლეხობას.

2. არა აქვთ უფლება აირჩიონ ან არჩეული იქნენ, თუნდაც რომელიმე ზემოდ აღნიშნულ კათეგორიასაც ეკუთვნოდნენ:

ა. იმ პირთ, რომელნიც მოგებისათვის დაქირავებულ შრომას მიმართავენ.

ბ. იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით, მაგალითად: კაპიტალის პროცენტით, წარმოების მოგებით, ქონების შემოსავლით და სხვა.

გ. კერძო მოვაჭრეთ, საფაქრო და საკომერციო შუამავალთ.

დ. ბერ-მონაზონთ და ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ.

ე. მოსამსახურეთ და აგენტებს ყოფილი პოლიციისა და ჯანდარმათა ცალკე კორპუსისა, საჯარო-შუშო (ობრანოე) განყოფილებისა და განსაკუთრებული რაზმისა; აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყველა ყოფილ მთავრობის წევრებს.

ვ. იმ პირთ, რომელნიც არსებული წესით ცნობილი არიან სულით ავადმყოფად და კეჟუზე შემოღილად, აგრეთვე ოპიუმის ქვეშ მყოფთ.

ზ. იმ პირთ, რომელნიც დასჯილნი არიან ანგარებისა და სხვა გამაწბილებელი დანაშაულობისათვის კანონით ან სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ ვადის განმავლობაში.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევკომის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისი.
ტფილისი—სასახლე.

დ ე გ უ ლ ე გ ა

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა

საუცხოეთო პასპორტების მიცემის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი აღგვანს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საუცხოეთო პასპორტების მიცემის შესახებ:

1. საზღვარგარედ წასვლისათვის, როგორც საქართველოს მოქალაქეთ, ისე საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეთ პასპორტს აძლევს მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი.

2. საუცხოეთო პასპორტი მიეცემა იმ პირთ, რომელთა წასვლისათვის არავითარი დამატკიცებელი მიზეზი არ აღმოჩნდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს საგანგებო კომისიის მხრით.

3. საუცხოეთო პასპორტს ძალა აქვს საქართველოში ყოფნისათვის მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი მიღებისა. ამ ვადის შემდეგ პასპორტი ძალას ჰკარგავს, უკეთუ არ

იქნა გამოყენებული. — ასეთივე ძალა აქვს საუცხოეთო პასპორტს მისი პატრონის საქართველოში დაბრუნების დღიდან.

4. მესამე მუხლში აღნიშნული ვადის შემდეგ რესპუბლიკის საზღვრებში თავისუფალი ცხოვრების ნება ზემოაღნიშნულ პირთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან ეძლევა.

5. პასპორტის ვადის განგრძობის უფლება საქართველოს საზღვრების გარეშე აქვს მხოლოდ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო წარმომადგენელს უცხოეთში.

6. საუცხოეთო პასპორტში—ოჯახის უფროსთან ერთად— შეიძლება აღინიშნოს მისი შვილები 16 წლისაზე არა უდიდესი. იმ წლოვანებაზე უფროსს ცალკე პასპორტი უნდა მიეცეს.

7. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 14.
ტ. ტფილისი—სასახლე

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა

შინაგან საქმეთა კომისარისა

თხოვნებისა და საჩივრების მიმართვის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მცხოვრების საყურადღებოთ და სახელმძღვანელოთ, რომ დღიდან ამ ბრძანების გამოცხადებისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი არ გააჩივებს თხოვნებს და საჩივრებს შემდეგი საკითხების შესახებ:

1. თხოვნებს და საჩივრებს წისკვილების ჩამორთმევის, დაბრუნების ან მინდის დაბეგვრის შესახებ და სხ. რადგან საქართველოს რევკომის ა.წ. 13 ივნისის დადგენილების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ა.წ. 25 ივნისის ბრძანების თანახმად (იხ. „მოამბე“ № 10. ბრძანება წისკვილების შესახებ § 2, 3 და 7) წისკვილების საკითხის გადაჭრა მიკუთვნებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მინდის დაბეგვრის კი—სასურსათო სახალხო კომისარიატს.

2. თხოვნებს და საჩივრებს მიწების (ნორმის საკითხის ევენის, ბალის, სათიბის და სხ.) შესახებ,

რადგანაც ამ საკითხის გადაჭრა, საეცებით დამოკიდებულია მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირველ ორ პარაგრაფში აღნიშნული სახალხო კომისარიატების დადგენილება-გადაწყვეტილება არ იქნება ადგილობრივ ორგანოების მიერ სისრულეში მოყვანილი, ან და იქნება დარღვეული.

4. ყველა მაზრის რევეკომს, ევალება ფართედ გააცნონ თავისი სამოქმედო ფარგალში საზოგადოებას ეს ბრძანება.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვიციანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

1921 წ. ივლისის 18.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

თანახმად პირველ წ-ის საქართველოს რევკომის დეკრეტისა № 28, რომელიც ამა წლის ოც და რვა აპრილიდან შევიდა კანონიერ ძალაში, მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წარმოება უნდა ჩამოერთვას ყველა სარწმუნოების სასულიერო დაწესებულებას და გადაეცეს საწარმოოდ მხოლოდ ადგილობრივ საერო დაწესებულებათ, მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების აღმასრულებელ განყოფილებებს, რომელნიც იმყოფებიან თემის მაზრის და ქალაქის რევეკომებთან.

ამიერიდან ყოველ სასულიერო პირთ, ეკლესიებს, მორწმუნეთა სამრევლოს, სასულიერო დაწესებულებათა და მონასტრებს, განურჩევლად სარწმუნოებისა ეძლევა წინადადება ამ დღიდან აღკვეთონ გაცემა და შესრულება ყოველგვარ აქტებისა: ნათლობის, დაბადების, ქორწინების, განქორწინების და სიკვდილის; ყველა მეტრიკული წიგნები და არქივები უნდა გადაეცეს ადგილობრივ რევეკომებს; რაც შეეხება მართლმადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანთა და სხვა კანსისტორიების არქივებს უნდა გადაეცენ მოქალაქობრივ მდგომარეობათა აქტების საწარმოო ცენტრალურ განყოფილებას. (ზავს).

მოქალაქენი ვალდებული არიან, ზემოაღნიშნული მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესასრულებლად, და აგრეთვე განქორწინების მოსახდენად, როცა ორთავე მხარეები თანახმანი არიან, განცხადება ჩასახულ ბავშვის კუთვნილების შესახებ, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ჩასაწერად და გამოცვლილ გვარების რეგისტრაციისათვის მიმართონ ადგილობრივ რევეკომებთან არსებულ მოქალაქობრივ მდგომარეობათა აქტების საწარმოო განყოფილებებს.

ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკაში ქვეყნის ერთ ეძლევა უფლება ყოველგვარ სარწმუნოების თავისუფლად აღსარებისა, მათ შეუძლიან შეასრულონ თავიანთ წესით ნათლობა, ქორწინება და დაკრძალვა, ხოლო ეს წესები არ ჩითვლება სახელმწიფოს მიერ კანონიერად და მოქალაქეს არ ანიჭებს არავითარ უფლებებს და ვალდებულებას. გარდა ამისა, ყოველი მოქალაქე, რომელიც თავის დროზედ არ განაცხადებს მოქალაქობრივ მდგომარეობათა განყოფილებებში დაბადების ან სიკვდილის შემთხვევას, იქნება დასჯილი თანახმად შ4 წ-სა დეკრეტის № 28.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვიციანი.

მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერ ცენტრალურ განყოფილების გამგის მოადგილე კ. ტყეშელაშვილი.

1921 წ. ივლისის 15.

ს ი რ კ უ ლ ი ა რ უ ლ ა დ .

ყველა სამაზრო რევეკომს.

საზოგადოთ ყოველთვის და განსაკუთრებით ეხლა, როდესაც შინაურ პირუტყვთა სხვა და სხვა გამძღები სენი მძვინვარებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სავეტერინარო პერსონალს ხშირად უხდება მოგზაურობა მაზრებში და უბნებში სენის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების მისაღებად და უბნის ან მაზრის ვეტერინარ-სანიტარულ მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამ მოგზაურობას ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდე ძალიან აძნელებს და ხშირად შეუძლებლადაც ხდის გადაძიდავ საშვალეებათა უქონლობა და უყულობა.

ზემოაღნიშნულის გამო წინადადებას გაძლევთ განკარგულება გასცეთ ყველა სარაიონო და სათემო რევეკომებისადმი, რათა უკანასკნელნი, პირველ მოთხოვნილებისთანავე ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ სავეტერინარო პერსონალს გამძღვიდავ და მიმოსვლის საშუალებათა—ცხენის თუ ეტლის საჩქაროდ მიწოდებით.

ამასთანავე გეცნობებთ, რომ ეტლებისა და ცხენების მიწოდება უნდა ხდებოდეს არა ქირით, არამედ უსასყიდლოთ, ხოლო გადასაზიდავ საშვალეებათა შოვნა უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა რიგ-რიგად დაბეგვრით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვიციანი.

საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

1921 წ. ივლისის 18.

შირკულიალებად

ყველა მაზრის რევეკომს!

აწ. აპრილიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომისარიატის ყურნალი „მოამბე“, რომელშიც იბეჭდება ყველა დეკრეტი, ბრძანებები, ცირკულიარი და სხვა განკარგულება ცენტრალური მთავრობის და ცალკე სახალხო კომისარიატების. ყურნალი „მოამბე“ გამოსვლისთანავე გვზავნება ყველა მაზრის რევეკომს ადგილობრივ საზოგადოებას და სათემო რევეკომების და საერთოდ მაზრაში არსებული ორგანოებისათვის დასარიგებლად და მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რაოდენობა „მოამბის“ რიცხვის, რომელსაც კომისარიატი ავზავნის სამაზრო ცენტრებში, განისაზღვრება თვით მაზრის რევეკომის მოთხოვნებით.

1921 წლ. აპრილის 5, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ შინაგან მართველობის განყოფილებათა დებულების (იხ. „მოამბე“ № 3.) განკ. 1 და 2, პუნქტი ელან. და აგრეთვე ა/წ. 25 ივნისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებული სამაზრო და საქალაქო რევეკომებთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეყნყოფილებისათვის ინსტრუქციის (იხ. „მოამბე“ № 10) §§ 3, 14 შენიშვნით, და 16-ს თანახმად და თვით, მაზრის რევეკომი, ვალდებულია ყოველგვარი მანება, ცირკულიარი და სხ. და აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“ მიღებისთანავე დაუგზავნოს ადგილობრივ რაიონის და თემების რევეკომებს.

ამის მიუხედავად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო და საინფორმაციო განყოფილებას ხან სიტყვიერად და ხან წერილობით მოსდის ცნობა, რომ „მოამბეს“ ისინი არ ღებულობენ და მისი არსებობაც არ იციან და თხოულობენ მის გამოგზავნას.

ზოგიერთი მაზრის რევეკომი, მიუხედავად იმისა რომ იგი ვალდებულია თითონ დააკმაყოფილოს უკლებლივ ყველა ადგილობრივი რევეკომი, იჩენს დაუდევრობას, გულგრილობას და სხვა დაუშვებელ მოქმედებას და დღემდე კანონით დაკისრებული მოვალეობიი შეუსრულებლობას.

გაცხადებ ყველა მაზრის რევეკომის საყურადღებოთ, მაზრის რევეკომის თავმჯდომარის პირად პასუხის მგებლობის ქვეშ, თუ კვლავ გამეორებულა ზევით მოყვანილი შემთხვევა და მაზრის რევეკომის სათანადო ორგანოებმა არ დაუგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“ ადგილობრივ რევეკომებს მოთხოვნისათვის დასაკმაყოფილებლად, მაზრის რევეკომის თავმჯდომარე იქნება მიცემული პასუხის გებაში რევეკომის ცენტრალური დროის კანონების მიხედვით.

შინ. საქ. სახალხო კომისარი ბ. კვიციანი.
 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი ვ. ხახანაშვილი.

დედანს აწერია: დამტკიცდეს.
 შ. ს. ს. კომისარი ბ. კვიციანი
 14 VII 21

დაბეჭდება

საბჭოთა საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციის კომისრების და პოლიტიკურ ნაწილის თანაშემწეთა შესახებ.

1. იმ მიზნით, რომ მუშათა და გლეხთა მილიციის ცხოვრებაში იქმნეს გატარებული ნამდვილი პოლიტიკური კონტროლი და უშუალო თვალყურის დევნა სარდლობის და სამწეო ადმინისტრაციული შემადგენლობის სწორი და ნაყოფიერ მუშაობაზე; რომ აიწიოს ბრძოლის უნარი და გამაგრებულ იქმნეს რევეკომის ცენტრალური დისციპლინა მილიციის ნაწილებში და სამმართველოებში, რომ ხელი შეუწყონ და უხელმძღვანელონ მილიციონერებს, რათა მათში განვითარდეს კლასიური თვითშეგნება და კომუნისტური მსოფლმხედველობა, მილიციის უფროსებთან ინიშნებიან პოლიტიკური კომისრები, ს. კ. პ. წვერთა რიცხვიდან, თანახმად აღნიშნული მიზნისათვის შემუშავებულ შტატისა.

2. მილიციის უფროსებთან, რომელნიც ითვლებიან ს. კ. პ. წვერებთან ინიშნებიან არა პოლიტიკური კომისრები, არამედ თანაშემწენი პოლიტიკურ ნაწილში; უკანასკნელნი არიან პასუხის მგებელნი პოლიტიკურ მუშაობაში, როგორც ნაწილის უფროსის, ისე ყველა მასზე უმაღლეს კომისრებისა და პოლიტიკურ ნაწილის თანაშემწეთა წინაშე, რომელთაც აქვთ სამხედრო პოლიტიკურ კომისრების უფლებანი ყოველ მათზე დაბლა მდგომ კომისრებზე დაქვემდებარების წესით.

3. ვინაიდან სამხედრო პოლიტიკური კომისრები ან თანაშემწენი არიან უშუალო ოგრანო მუშა-გლეხურ ხელისუფლებისა მილიციაში ისინი ყოველთვის სდგანან ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, და ყოველ უკიდურეს კრიტიკულ მდგომარეობაში, მთელი თავისი რევეკომის ცენტრალური არსებით ცდილობს არ დაუშვას ისეთი მოვლენები, რომლებიც იქნებიან საბჭოთა წესწყობილების საწინააღმდეგო და ყველა მის განკარგულებაში მყოფ ძალას მოიხმარს, რომ ასწიოს მუშა-გლეხური ხელისუფლების პრესტიჟი და დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში ყველა მისი განკარგულებანი.

4. ექნება რა მხედველობაში საბჭოთა აღმშენებლობის საერთო გეგმასთან შეთანხმება, კომისრები და თანაშემწენი აწარმოებენ მუშაობას თანახმად ცენტრალურ ორგანოების დეკრეტებისა და განკარგულებისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის სპეციალური დადგენილებისა და მილიციის მთავარ სამმართველოს ბრძანებისა.

5. კომისარი ვალდებულია: 1) იქონიოს ყოველთვის უშუალო კავშირი პარტიულ, პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან,



აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლების ორგანიზაციებთან, 2) დაეხმაროს მათ მუშაობაში და 3) ინელმძღვანელოს იმ განკარგულებით და დებულებებით, რომელნიც განსაზღვრავენ მილიციის სამმართველოს დამოკიდებულებას სხვა ორგანოებთან და რესპუბლიკის დაწესებულებებთან.

6. მიისწრაფის რა გარდაუხვეველად მილიციის ხალხი უნარის აწევისა და გამაგრებისაკენ, კომისარი ცდილობს ყველა მის განკარგულებაში არსებულ შეძლების მეოხებით განამტკიცოს მილიციაში ისეთი დისციპლინა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ცალკე გაცემულ ბრძანებების და განკარგულებების კეთილ სინდისიერად შესრულებას.

7. ხელმძღვანელობს რა თავის მოღვაწეობაში ს. ს. რ. მიზნის მიხედვით, კომისარი თვალყურს უნდა ადევნებდეს წესიერად და უაღრესად მიზანშეწონილ და გამოზოგვილად განაწილებას და სარგებლობას შტატებისა, ინვენტარისა და მატერიალური ქონებისა, აგრეთვე ფულების წყაროებისა.

8. უწევს რა კონტროლს და ზედამხედველობას სამნეო ნაწილის მოღვაწეობას, ის ღებულობს ყოველ გვარ ზომებს, რათა თავის დროზე და საკმარისად დაკმაყოფილებულ იქნეს როგორც მილიციის ნაწილი, აგრეთვე სამმართველო, და არ ხდებოდეს ამ დარგში არავითარი ბოროტ-მოქმედება.

9. როგორც ს. კ. პ. წევრი, კომისარი და პოლიტიკური თანაშემწე მილიციონერთა თვით შეგნების და ზნეობრივი აღზრდის მიზნით უნდა უშაობდენენ კომიაჩიეებში, როგორც ხელმძღვანელი წევრი.

10. კომისარი და პოლიტიკური თანაშემწე, როგორც პასუხის მგებელი ამხანაგები მათთვის იწმუნებულ მილიციის და სამმართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა, ვალდებული არიან ზედამხედველობა გაუწიონ პოლიტიკურ მუშაობას და დაიჭირონ კავშირი მთავარ პოლიტიკურ-განმანათლებელ ორგანოსთან და ყოველ გვარი ზოგბი მიიღონ, რათა მილიციის ნაწილებში პოლიტიკურ-განმანათლებელმა მუშაობამ ნაყოფიერი შედეგები მიიღოს.

11. კომისარი და თანაშემწე პოლიტიკური წილში არ უნდა იყვნენ დამშვიდებულნი, როგორც პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის წმობა დაფალებული აქვს მთავარ პოლიტ-განმანათლებელ ორგანოებს; უნდა გაუწიოს რა ანგარიში მილიციის სამსახურის განსაკუთრებულ სიათს, ის ვალდებულია თვითონ გამოიჩინოს დეტალურად და აწარმოვოს მუშაობა, რომელიც უნდა მიზან-შეწონილი და მისაღები იქნება მილიციისათვის და ყველა ამ მიმართულებით გაქმნილი განკარგულებები და ტარდებოდეს ბრძანებში.

12. ისახავს რა მიზნათ, კომისარი და თანაშემწე განამტკიცოს რევოლუციონური დისციპლინა, ისინი სცდილობენ განუმარტონ და შთანთონ მილიციელებს მუშა-გლეხურ მილიციის დისციპლინა, სასტიკი ბრძოლა აწარმოონ დეზერ-

ტირების, ლოთების, მექრთამეების და პატივმოყრის წინააღმდეგ, ფაქტების სწორი შეფასებით; არ დაუშვან რაიმე უკმაყოფილება მილიციაში და იქონიონ მუდმივი მჭიდრო ამხანაგური კავშირი მილიციონერთან.

13. როგორც აღმინისტრაციულ-პოლიტიკურ აპარატის ორგანოების უფროსნი, კომისარი და პოლიტიკური თანაშემწე ვალდებული არიან იქონიონ მჭიდრო კავშირი ყველა მათზე ზევით მდგომ პოლიტიკურ ინსტანციასთან, აწარმოონ მუშაობა თანახმად საერთო გეგმისა, ამის შესახებ საინფორმაციო მასალა მიაწოდონ დროზე და მოითხოვონ სახელმძღვანელო დარიგება ამა თუ იმ საკითხის შესახებ საქიროების დროს.

14. კომისარი ვალდებულია გაუწიოს ზედამხედველობა პოლიტიკურ ხელმძღვანელების „პოლიტრუკ,“ მუშაობას, აძლიოს მათ სათანადო დარიგება რაიონების შემოვლით და თათბირით აწარმოოს მათი ინსტრუქცია, თვალყური ადევნოს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელები ცხოვრობდნენ იმავე პირობებში, რა პირობებშიაც ცხოვრობენ მილიციელები.

15. დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად კომისარი იკავებს რა თავს უშუალო განკარგულებების გაცემით სამნეო აღმინისტრაციულ და სამწყობრო ნაწილში, ადევნებს თვალყურს მილიციის და სამმართველოს მუშაობას, იღებს მოხსენებებს უფროსთან ერთად და თავის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ამაგრებს როგორც საერთო ხასიათის ბრძანებებს და განკარგულებებს, აგრეთვე მიმდინარე მიწერ-მოწერას.

16. სამნეო ნაწილში თუ აღმოჩნდება ბრძანებები და განკარგულებები, რომელთაც ექნებათ ხასიათი ბოროტ-მოქმედებისა ან კონტრ-რევოლუციონური, კომისარს აქვს უფლება გაუქმოს და შეაჩეროს ეს ბრძანება ან განკარგულება თავისი პასუხის მგებლობის ქვეშ.

17. თუ აღმოჩნდება მილიციის უფროსის ან სარდალთა შემადგენლობის მოღვაწეობაში იმ გვარი რამე, რაც მიმართული იქნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კომისარი მოვალეა მიიღოს უსასტიკესი ზომები ამის თავიდან ასაცილებლად და მიღებულ ზომების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის უფროსებს დაქვემდებარების წესით.

შენიშვნა: მე-16 და 17 მუხლ. უფროსებს დაუყოვნებლივ აცნობებს კომისარი იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული მილიციის უფროსია, ვისთანაც ის არის პოლიტიკურ კომისრათ. თუ ბრალდებულია უფრო დაბალი მოხელე ან ერთ-ერთი წევრი სარდალთა შემადგენლობისა, მაშინ კომისარი თავის მსჯავრს სდებს მას მილიციის უფრ. საშუალებით.

18. კომისარს ეძლევა უფლება აღძრას კითხვა რომელიმე სარდალთა შემადგენლობის წევრის გადაყენების სამსახურის ან პოლიტიკურ შეუფერებლობისათვის. ამ გვარ შემთხვევაში კომისარი

აძლევს სათანადო, დასაბუთებულ განცხადებას თავის უშუალო უფროსს ან მათ თანაშემწეს პოლიტიკურ ნაწილში.

19. თუ კომისარი ან პოლიტიკური თანაშემწე ამა თუ იმ შემთხვევაში ვერ გამოარკვევენ თავის უფლება-მოვალეობას, მაშინ განმარტებისათვის მიმართავენ დაქვემდებარების წესით თავის უშუალო უფროსს ან მის თანაშემწეს პოლიტიკურ ნაწილში.

შენიშვნა: ის ზემოდ ნაჩვენები მუხლები, რომელშიდაც არ არიან მოხსენებული პოლიტიკური თანაშემწენი, შეეხება მხოლოდ კომისარებს.

საქართველოს რესპუბლიკის მილიც. მთავარ სამმართველოს პოლიტიკურ სექრეტარიატის უფროსი ი. იოვიძე.

დედანს აწერია: დამტკიცდეს. შ. ს. ს. კომისარი ბ. კვიციანი. 21-VII-21 წ.

დ ე ბ ე ლ ე ბ ა

პოლიტიკურ ხელმძღვანელების შესახებ რესპუბლიკის მილიციის ნაწილებში.

1. ყოველ დღიური, სწორი და თანდათანობითი მილიციონერებთან სამაცადინოთ პოლიტიკურ საკითხების შესახებ ყოველივე მილიციის მცირე ერთეულში ინიშნება პოლიტიკური ხელმძღვანელი.

2. პოლიტიკური ხელმძღვანელები ინიშნებიან მაღალ ინსტანციის პოლიტიკურ კომისარების მიერ, მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. პოლიტიკურ თანაშემწის ან კომისარის წარდგენით პოლიტიკურ ხელმძღვანელათ შეიძლება იქნეს დანიშნული მილიციონერიც — კი, პარტიული ამხანაგი, რომელსაც ეძლევა ყველა უფლებები და მოვალეობანი პოლიტიკური ხელმძღვანელის თანახმად ამ დებულებისა.

4. პოლიტიკური ხელმძღვანელი იღებს აქტიურ მონაწილეობას კომიაჩეიკის მოღვაწეობაში, იჭერს მჭიდრო კავშირს მთავარ პოლიტიკურ-განმანათლებელ ორგანოებთან მისდამი რწმუნებულ მილიციის ნაწილში პოლიტიკურ მუშაობის წარმოების შესახებ და სათანადო სახალხო განათლების განყოფილებასთან საჭირო განმანათლებელ მასალის მისაღებათ.

5. პოლიტიკური ხელმძღვანელები აწარმოებენ მაცადინობას პოლიტიკურ საკითხებში, მართავენ ჯგუფობრივ გაზეთების და ლიტერატურის კითხვას, აწყობენ ლექციებს სხვა და სხვა დარგის შესახებ მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოებთან სრული შეთანხმებით, რისთვისაც სა-

ჭიროა უკანასკნელმა აღმოუჩინოს ქვეყნის და მარტობა.

შენიშვნა: მაცადინობა და ლექციები უნდა სწარმოებდეს სასტიკათ განსაზღვრულ დროს მაღალ ინსტანციის პოლიტიკურ კომისარების და მათ თანაშემწეებთან შეთანხმებით, რათა ამათ ხელი არ შეუშალოს ნორმალურ სამსახურის მუშაობის მსვლელობას.

შენიშვნა: მესაუბრები ინიშნებიან იმ ანგარიშით, რომ თითო მესაუბრეზე მოდიოდეს არა ნაკლები 10—40 კაცისა იმ შემთხვევაში, როდესაც მილიციონერები ცხოვრობენ კაზარმებში და სადარაჯო სადგომებში.

6. ნაკლებათ მომზადებულ და შეუცნებელ ამხანაგებთან პოლიტიკური ხელმძღვანელი აწყობს დამატებითი საუბარს და ამ მიზნისათვის შეიძლება იქნენ დანიშნული კომიაჩეიკის უფრო მომზადებული წევრები.

7. პოლიტიკურ ხელმძღვანელს ევალება, რომ მის რაიონში ყოფილი მილიციონერები არ აკლდებოდნენ მაცადინობას.


8. გარდა სავალდებულო მაცადინობისა პოლიტიკური ხელმძღვანელები ყოველ შესაფერ შემთხვევაში აწყობენ მილიციონერებთან სხვა და სხვა პოლიტიკურ თემებზე, თანახმად მთავარ კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების დარიგებისა.

9. პოლიტიკური ხელმძღვანელი მოვალეა, ყველა იმ მოქმედებებზე სარდლობის შემადგენლობის წევრისა, რომელიც მას ახასიათებს როგორც არა საიმედო პიროვნებას, დაუყონებლივ მოახსენოს პოლიტიკურ თანაშემწეს ან კომისარს მაღალ ინსტანციისას.

10. პოლიტიკური ხელმძღვანელი მოვალეა:

1) ყოველ — კვირეულად წარუდგინოს წერილობითი მოხსენება თავის მოღვაწეობის შესახებ პოლიტიკურ კომისარს ან მის თანაშემწეს მაღალ ინსტანციასას; 2) აწარმოოს დღიური, თანახმად მიღებულ ფორმისა, რომელიც მასთან რჩება; 3) ყოველ თვიურათ წარუდგინოს მაღალ ინსტანციის პოლიტიკურ კომისარს ან მის თანაშემწეს ანგარიში თანახმად არსებული ფორმისა, რომელშიაც იქნება შეკრებილი ცნობები დღიურიდან. ეს ანგარიში უნდა წარადგინოს ყოველ თვის 5 რიცხვს; 4) წარუდგინოს ცნობები მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოს რწმუნებულს თანახმად იმ ფორმისა, რომელსაც ის მოითხოვს; 5) ადვენოს თვალყური იმ ცნობებს, რომელსაც კომ-იაჩეიკის თავმჯდომარე ან მდივანი უდგენენ პარტკომს და პოლიტ-სექრეტარიატს კომუნისტების და მათში მომხდარ ცვლილებების შესახებ.

11. პოლიტიკური ხელმძღვანელი არავითარი სამწეო და ადმინისტრატიული უფლებებით აღჭურვილი არ არის და არის მხოლოდ პოლიტიკურ-განმანათლებელი თანამშრომელი და განთავისუფლებულია როგორც სამწყობრო აგრეთვე სადარაჯო სამსახურისაგან.



12. პოლიტიკური ხელმძღვანელი ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომები, ჩრათა პოლიტიკურათ შესაფერისათ აღზარდოს მილიციონერები მისდამი რწმუნებულ მილიციის ნაწილში, შეიტანოს და განამტკიცოს კომუნისტური რევოლუციონური შეგნება და დისციპლინა.

13. მატერიალური მხრით (ჯამაგირით, სურსათით და ტანისამოსით დაკმაყოფილება) პოლიტიკური ხელმძღვანელები გათანაბრებული არიან უფროს მილიციონერებთან.

14. ადმინისტრაციულ პოლიტიკური ხელმძღვანელები უშუალოთ ემორჩილებიან უფრო მაღალ ინსტანციის პოლიტიკურ კომისარს ან მის თანაშემწეს, ხოლო განმანათლებელ ნაწილში-მთავარ პოლიტიკურ-განმანათლებელ ადგილობრივ ორგანოებს.

ს. ს. ს. რ. მილიციის მთავარი სამმართველოს პოლიტიკურ-სეკრეტარიატის უფროსი ი. იოვიძე.

დედანს აწერია: დამტკიცდეს.
შ. ს. ს. კომისარი ბ. კვიციანი.
21-VII-21 წ.

დებულება

რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციაში პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ორგანოების შესახებ.

1. პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის წარმოება რკინის გზის წყლის, მაზრების და ქალაქთა მილიციაში სავსებით ევალებათ მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოებს და მათ რწმუნებულებს, რომელნიც არიან პასუხისმგებელი მთელი პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობისა იმ მილიციის ნაწილებში, რომელნიც მათ ტერიტორიაზე იმყოფება.

2. პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ფუნქციების შესასრულებლად მუშათა და გლეხთა მილიციაში ეწყობა პოლიტ-სეკრეტარიატი რესპუბლიკის მილიციის უფროსთან, რკინის გზის მილიციის სამმართველოში, სამაზრო და საოლქო მილიციის სამმართველოებთან.

3. რკინის გზის რაიონებში, მაზრების და ქალაქების რაიონებში, სადაც მილიციის უფროს-უპარტიოა ინიშნება მასთან თანაშემწე ან კომისარი პოლიტიკურ მუშაობის საწარმოებლად.

4. რკინის გზის მილიციის უბნებში და მაზრის მილიციის უბნებში ინიშნებიან პოლიტიკური ხელმძღვანელები, თანახმად იმ დებულებისა, რომელიც არსებობს წითელ ჯარის გუნდებში.

5. ს. ს. ს. რ. რესპუბლიკაში პოლიტ-სეკრეტარიატი, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებისა, ეწყობა მილიციის მთავარ სამმართველოსთან.

6. რკინის გზის მილიციის და წყლის მილიციის სამმართველოსთან არსებული პოლიტ-სეკრეტარიატები, მიუხედავად მათი ტერიტორიული მდებარეობისა, ექვემდებარებიან მილიციის მთავარ სამმართველოს პოლიტ-სეკრეტარიატს.

7. მაზრების და ქალაქების მილიციის სამმართველოსთან არსებული პოლიტ-სეკრეტარიატი უშუალოთ ექვემდებარებიან მილიციის მთავარ სამმართველოს პოლიტ-სეკრეტარიატს.

პოლიტ-სეკრეტარიატის მოვალეობანი.

8. პოლიტ-სეკრეტარიატის მოვალეობას შეადგენს:

ა) მილიციის ორგანოებში პოლიტიკურ მდგომარეობის და პოლიტიკურ მუშაობის წარმოების მუდმივი ზედამხედველობა.

ბ) მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოებთან კავშირი.

გ) კომუნისტურ და პოლიტიკურ თანაშემწეთა აღრიცხვა.

9. რკინის გზის, მაზრების და ქალაქების რაიონების მილიციაში პოლიტ-სეკრეტარიატის მოვალეობას აღსრულებენ პოლიტიკური თანაშემწენი ან კომისრები.

10. რკინის გზის და წყლის მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის სათავეში სდგას კომისარი ან პოლიტიკური თანაშემწე სამმართველოს უფროსისა, რომელიც არის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი.

11. ყოველი უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პოლიტ-სეკრეტარიატის და პოლიტიკური თანაშემწენი (გარდა თავის პირდაპირი უფროსის და ქვემდებარებისა) ექვემდებარებიან მათზე უფრო მაღლა მდგომ პოლიტ-სეკრეტარიატს.

12. დანიშნენა და დათხოვნა პოლიტიკურ თანაშემწეებისა და კომისრებისა რკინის გზის მილიციის სამმართველოსი ხდება უფრო მაღლა მდგომ კომისრების და პოლიტიკურ თანაშემწეების მიერ, დაქვემდებარების წესით.

13. დანიშნენა და დათხოვნა პოლიტიკურ თანაშემწეების და კომისრების მაზრების და ქალაქების მილიციის სამმართველოსი ხდება სათანადო შინაგან მმართველობის განყოფილებების მიერ და მტკიცდება მილიციის მთავარ სამმართველოს პოლიტ-სეკრეტარიატის მიერ.

ს. ს. რ. მილიციის მთავარ სამმართველოს სეკრეტარიატის უფროსი ი. იოვიძე

საქართველოს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის საპოლიტიკო-ადმინისტრაციულ ორგანოების შესახებ.

1. საპოლიტიკო-ადმინისტრაციულ ფუნქციების შესასრულებლად მუშათა და გლეხთა მილიციაში არსდება პოლიტიკური სეკრეტარიატი (პოლსეკრეტარიატი): მილიციის მთავარ სამმართველო უფროსთან და საქართველოს რკინის გზე-

ბის მილიციის, სამოქალაქო და სამაზრო სამმართველოებთან.

2. რესპუბლიკის მთავარ მილიციის, რკინის გზების, საქალაქო და სამაზრო მილიციის სამმართველოებში, თუ ასეთების უფროსები უპარტიო არიან უნდა იყვნენ თანაშემწენი პოლიტიკურ ნაწილში, ან კომისრები.

3. რკინის გზების და სამაზრო საქალაქო მილიციის სამმართველოების რაიონებში, აგრეთვე იმ ქალაქებში, რომლებშიაც მილიცია დაყოფილია რაიონებად, უნდა იყვნენ პოლიტიკური ხელმძღვანელები.

შ ს ა ტ ა გ ი

საპოლიტიკო-სეკრეტარიატების პოლიტ-სეკრეტარიატების ს. ს. ს. რ. მუშა გლეხთა მილიციაში:

- 1. საპოლიტიკო სეკრეტარიატი („პოლიტ-სეკრეტარიატი“) რესპუბლიკის მთავარ მილიციის სამმართველოსთან: 1
- 2. საპოლიტიკო სეკრეტარიატის უფროს თანაშემწე პოლიტიკის ნაწილისა რესპუბლიკის მილიციის უფროსი 1
- მოადგილე 1
- მდივანი 1
- 3. მეშფორე 1
- მეჩანქანე (მბეჭდავი) 1

ს უ ლ . . . 5

- II. საპოლიტიკო სეკრეტარიატი რესპუბლიკის რკინის გზის მილიციის სამმართველოსთან (კომისარი) თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში 1
- მოადგილე 1
- მდივანი 1

ს უ ლ . . . 3

- III. სამოქალაქო რესპუბლიკის და სამაზრო სამმართველოებთან თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში (კომისარი) 1

მოადგილე შარვაშიძე
მდივანი შარვაშიძე
ს უ ლ . . . 3

ს. ს. ს. რ. მილიციის მთავარ სამმართველოს სეკრეტარიატის უფროსი ი. იოვანიძე.

სასურსათო კომისარიატი

სირკულიარული

სახ. სასურ. კომისარიატის რწმუნებულთა და სამაზრო სასურსათო კომიტეტებს.

ვინაიდან ზოგიერთ რესპუბლიკის რაიონებში დღეს შენიშნულია მძიმე სასურსათო მდგომარეობა, რომელიც მოსალოდნელია გაგრძელდეს ახალ მოსავლამდე, წინადადება ეძლევა სახ. სასურ. კომისარიატის რწმუნებულთა მიაქციონ სერიოზული ყურადღება რაიონების გაჭირვებას და მოთხოვნილებას, მათ მოქმედებას და მიიღონ ყოველნაირი ზომები რათა დაკმაყოფილებულ იქნას არსებობითი მოთხოვნილება რაიონებისა, ამასთან უნდა წარმოუდგინოს პური სამ. სახ. კომიტეტის ნამდვილი საჭიროების და მკამელთა რიცხვის მიხედვით, რომელიც მათ მიერ აღნიშნულია, ამასთანავე განსაკუთრებულ შემთხვევაში პურის მიცემა შეიძლება ხდებოდეს სახალ. სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელ ორდერის მიუღებლადაც, მაგრამ დაუყონებლივ დეპეშით უნდა ეცნობოს ასეთს შემთხვევაში განმანაწილებელ მართველობას მიცემული სურსათის და დაწესებულების აღნიშვნით. ამასთან ერთად წინადადება ეძლევათ რწმუნებულთ ყოველ ორ კვირაში სისტემატიურად თითოეული თვის 1 და 15-თვის აცნობონ სახ. სასურსათო კომისარიატს რიცხვი სამ. სახ. კომიტეტის მიერ მიცემულ პურისა.

სახ. სას. კომისარი ერქომაიშვილი.

ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა .

საბჭოთა ხელის უფლების ორგანოთა ურთიერთ უფრის დაშოკიდაგულება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და გამაგრებას ხელს უშლის უმთავრესად ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა ურთიერთობის ხასიათის გამოუ-

რკვევლობა. ხშირათ ადგილობრივი ორგანოები ცენტრალურ მმართველობის ბრძანებას და დეკრეტებს არ ასრულებენ და ასეთს მოქმედებას კანონიერ მოქმედებათ აღიარებენ. მომჩივნები ხშირათ აღნიშნავენ ხოლმე, რომ ადგილობრივი ორგანოები არაჰც თუ არ ასრულებენ ცენტრალურ მთავრობის ბრძანებებს, ხშირად მთხოვნილებს უცხადებენ, რომ ცენტრის დადგენილება მათთვის სავალდებულო არ არის. ასეთი საქციელი ან განცხადება სრულიად არ შეესაბამება საბჭოთა მართვა-



გამგეობნს სისტემას, სმდაც წითელი ზოლივით გატარებულია დემოკრატიული ცენტრალიზმი. საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ან სწორბთ არ ესმით ცენტრალიზმი, ან არ სურთ გაიგონ. ამისათვის საჭიროა მივმართოთ კომუნისტურ პარტიას დადგენილებებს, რომლებშიც სრულიმდ ნათლად და ცხადად არის გარკვეული ხელისუფლებების ორგანოთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება, დემოკრატიული ცენტრალიზმის მტკიცე დაცვით.

საბჭოთა სისტემაში ყველა ორგანოების სტრუქტურა, როგორც ცენტრალურის, ისე ადგილობრივი პერიფერიებში ერთნაირია. ხელისულების ცენტრალურ ორგანოს აქვს სხვადასხვა განყოფილებაანი: შინაგან მმართველობის, მიწათ მოქმედების, იუსტიციის, სოციალურ უზრუნველყოფის, განათლების და სხვ. სწორეთ ასეთივე განყოფილებები აქვს ადგილობრივ ორგანოებსაც. ამ წვრილ ერთეულშიც უნდა იყოს შინაგან მმართველობის, მიწათ მოქმედების, იუსტიციის და სხვა განყოფილებაანი. თვითეული ამ განყოფილებათაგანი უშუალოდ ემორჩილება მასზედ მალლა მდგომ ორგანოს ამავე განყოფილებას. აქედან ცხადია და კომპარტიის მეშვიდე ყრილობის დადგენილებათა მე მ-მუხლი ადასტურებს, რომ სახალხო კომისარი თავის ბრძანებებით და განკარგულებებით მიმართავს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის მხოლოდ იმ განყოფილებას, რომელსაც განაგებს თვით სახალხო კომისარი და არა მთელ აღმასრულებელ კომიტეტს.*) მაგალითად: მიწად მოქმედების კომისარიატს. შეუძლიან თავისი ბრძანებებით და განკარგულებებით მიმართოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის (ანუ რევკომის) მხოლოდ საადგილომამლო განყოფილებას, განათლების კომისარიატს-განათლების განყოფილებას და სხვა. ექვს გარეშეა აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სახალხო კომისართა სიბჭის, ან ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმს, ან მისი დავალებით რომელიმე სახალხო კომისარიატს არ შეეძლოს მიანდოს რაიმე საქმე მთელ აღმასრულებელ კომიტეტს. მაშასადამე თუ სახალხო კომისარის განკარგულება ეხება მეორე კომისარიატის სფეროს და გამოდის თავისი ფარგლებიდან, მაშინ ეს განკარგულება უნდა ხდებოდეს დაინტერესებულ კომისარიატთა შეთანხმებით და ხელის მოწერით. ამ ზომით თავიდან აცილებულ იქნება ის შეუთანხმებლობა ცენტრალურ ორგანოთა შორის, რომელიც ხშირად ხელს უშლის ცენტრალურ ხელისუფლების მიზანშეწონილ მუშაობას. ამას უნდა დაუმატოთ რომ საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ არ მომხდარა საბჭოთა არჩევნები. როდესაც საბჭოთა მართვა გამგეობა აგებულა განსაზღვრულ

სისტემაზე, როდესაც საბჭოთა საერთო ყრილობა, რესპუბლიკის მასშტაბში გამოყოფს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ცხოვრობს არჩევს ყრილობის ყველა ბრძანებებს და დადგენილებებს, ასე ვთქვათ, არის საბჭოთა ყრილობის აღმასრულებელი ორგანო. დღეს საქართველოში არსებობენ რევოლიუციონური ორგანოები, კომიტეტები. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის ფუნქციებს დღეს ასრულებს საქართველოს რევკომი, ხოლო მის აღმასრულებელ ორგანოს ფუნქციებს ასრულებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. მაშასადამე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ვალდებულება ისეთივეა როგორც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა. ასეთივეა დღეს მისი უფლებანი, და მაშასადამე მას შეუძლიან ბრძანებებით და განკარგულებებით მიმართოს ადგილობრივ რევკომის მთელ შემადგენლობასაც და არა მხოლოდ მის განყოფილებას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს დროებითი წესია და იმოქმედებს მხოლოდ საბჭოთა არჩევნებამდის.

შემოთმოყვანილ წესით გაცემულ განკარგულებას იღებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის (ანუ რევკომის) განყოფილების გამგე, ან მთელი აღმასრულებელი კომიტეტი. კომპარტიის მეშვიდე ყრილობის დადგენილებით განყოფილების გამგე ვალდებულია ეს განკარგულება დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში, მაგრამ თუ რაიმე მოსაზრებით გამგეს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა შეუძლებლად მიიჩნია, იგი ვალდებულია დასაბუთებული მოხსენება ამის შესახებ წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის (რევკომის) პრეზიდიუმს.

ეს უკანასკნელი, მოხსენების დეტალურათ განხილვის შემდეგ ადგენს შესაძლოა განკარგულების სისრულეში მოყვანა თუ არა. თუ განკარგულების შესრულება პრეზიდიუმის შეხედულებითაც შეუძლებელია, მაშინ ეს უკანასკნელი თავის მოსაზრებას და გადაწყვეტილებას აცნობებს სახალხო კომისართა საბჭოს (საქართველოს რევკომს) და ასლს ამისას უგზავნის იმ კომისარიატს, რომელმაც მოახდინა ეს განკარგულება. მაგრამ იმავე მეშვიდე ყრილობის დადგენილებით ამ შემთხვევაშიც ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს განკარგულების შესრულების შეჩერების უფლება არა აქვს. განყოფილების გამგე, რომელიც განკარგულების შესრულებას მიზანშეწონილად ვერ სცნობს და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინა პრეზიდიუმს, მაინც ვალდებულია შეასრულოს განკარგულება და მისი შეჩერების უფლება მას არა აქვს.

მაშასადამე მეშვიდე ყრილობის დადგენილებით სახალხო კომისარს უფლება არა აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულება, და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს ან მის განყოფილებას უფლება არა აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს სახალხო კომისარის განკარგულება. ამ გვართ ხელისუფლების ორგანოთა განკარგულების გაუქმება ან შეჩერება შეუძლიან მხოლოდ იმ მასზედ მალლა

*) აღმასრულებელ კომიტეტის უფლებები და ვალდებულებები, სანამ არ მომხდარა მუშათა და გლეხთა არჩევნები მინიჭებული აქვს რევკომებს. ამიტომ სადაც ნახმარი იქნება სახელწოდება „აღმასრულებელი კომიტეტი“, უნდა ვიგულისხმობთ „რევკომი“.

მდგომ ორგანოს, რომელსაც იგი ექვემდებარება და ემორჩილება.

ეს ზოგადი მოსაზრებანი სახელმძღვანელოთ უნდა მიიღოს ყველა დაწესებულებამ და სამსახურში მყოფმა პირებმა და ამის შემდეგ ადგილი იქნება ყველა იმ უთანხმოების გადაწყვეტა, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. ეს უთანხმოება ორგანოთა შორის ორნაირი ხასიათისა შეიძლება იყოს.

პირველი შემთხვევა—სახალხო კომისარი ახდენს რაიმე განკარგულებას, რომლის შესახებ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს ან რევკომს უკვე გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი და სახალხო კომისარის განკარგულება ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება.

დავასურათოთ თვალსაჩინო მაგალითით. ეს თქვათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მოახდინა განკარგულება რომ ამა და ამ რაიონის მილიცია გადაყვანილ იქნას მეორე რაიონში. ამავე დროს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს ან რევკომს გამოუტანია დადგენილება, რომლითაც იმავე რაიონის მილიცია, გადაყვანილ უნდა იქნას არა კომისარის მიერ ნაჩვენებ რაიონში არამედ სხვაგან. ორთავე ამ განკარგულების შესრულება ევალება შინაგან მმართველობის განყოფილების გამგეს; რომელი განკარგულება უნდა შესრულოს ხსენებული განყოფილების გამგემ? ცხადია ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ამ განკარგულების გამოცემის დროს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ინტერესებით, სახალხო კომისარი კი სახელმწიფო ინტერესებით. სახალხო კომისარის განკარგულების არ შესრულება საფრთხეს უშაბდებს მთელს რესპუბლიკას, ხოლო აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულების შეჩერებას შეიძლება შედეგათ მოჰყვეს უწყისობა ერთ რომელიმე რაიონში. ცხადია სახელმწიფოს ინტერესები უფრო მალე უნდა იდგნენ, ვინემ რომელიმე რაიონის. მაშასადამე სახალხო კომისარის განკარგულება უნდა შესრულებულ იქნას, ამას ითხოვს სახელმწიფოს ინტერესები.

ჩვენ ვაზრახ მოვიყვანეთ აქ მეტად მკაფიო მაგალითი, რომ თვალსაჩინო ყოფილიყო ყველასათვის, ცენტრალურ განკარგულებათა მნიშვნელობა ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებასთან შედარებით, მაგრამ ზემოთ ნათქვამი მისაღებია ყველა სხვა შემთხვევებშიც. სახალხო კომისარი თავის განკარგულებების გამოცემის დროს ანგარიშს უწყევს მთელ რესპუბლიკის მდგომარეობას და კერძოთ იმ რაიონისას, სადაც იგზავნება განკარგულება. თუ სახალხო კომისარის განკარგულებას საომარი წესით არ სჭირდება ცხოვრებაში გატარება, ექვს გარეშეა განკარგულებას მოახდენს იგი წინასწარი ცნობების შეკრების შემდეგ. მაგალითად ვთქვათ, ვინმე ივანემ საჩივარი შეიტანა კომისარიატში, რომ მას ბინა ჩამოართვეს. თუ ამ ბინის ჩამორთმევა მოხდა ისეთს ადგილში, სადაც ჩამორთმევის უფლება აღმასრულებელ კომიტეტს არა აქვს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი,

აღმასრულებელ კომიტეტს უთითებს კანონის დარღვევაზე და ითხოვს საქირო ცნობებს კითხვის სამართლიანად და კანონიერ გადასაწყვეტად და მხოლოდ საქირო ცნობების მიღების შემდეგ ახდენს ამა თუ იმ კატეგორიულ განკარგულებას. აქედან რა თქმა არ შეიძლება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ სახალხო კომისარს არა აქვს უფლება პირველადვე მოახდინოს კატეგორიული განკარგულება, თუ ამისათვის საქირო ცნობები აქვს სხვა წყაროებიდან.

საქმეების ამ წესით გადაწყვეტა ხელის უფლების უმაღლეს და დაბალ ორგანოთა შუა ამყარებს მჭიდრო კავშირს და საშუალებას აძლევს უმაღლეს ორგანოს თვალყური ადევნოს თავის ხელქვეითი ორგანოს მუშაობას.

მეორე შემთხვევა—სახალხო კომისარი ახდენს რაიმე განკარგულებას, რომლითაც მიმართავს ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის სათანადო განყოფილებას. თუ განყოფილება ამ განკარგულების შესრულებას შეუძლებლად სცნობს, მოხსენებას ამის შესახებ წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს, უკანასკნელი ეთანხმება განყოფილებას და გამოაქვს დადგენილება, რომელიც სახალხო კომისარის განკარგულებას ეწინააღმდეგება. რომელი განკარგულება უნდა შესრულოს განყოფილებამ, და შეუძლია თუ არა მას შეაჩეროს სახალხო კომისარის განკარგულება? ამაზედ კომპარტიის მეშვიდე და მერვე ყრილობამ გადაჭრილი პასუხი მოგვცა. ამ ყრილობებმა გადასწყვიტეს რომ ამგვარ შემთხვევაში განყოფილება ვალდებულია შესრულოს სახალხო კომისარის განკარგულება, თუნდა იგი სრულიად ეწინააღმდეგებოდეს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს დადგენილებას. ამ შემთხვევაში პრეზიდიუმს უფლება აქვს სახალხო კომისარის განკარგულების გაუქმების შესახებ, მხოლოდ შუამდგომლობის აღძვრისა უმაღლეს ორგანოს წინაშე, განკარგულების შეჩერების უფლება კი მას არა აქვს.

ასეთი იყო დადგენილება მეშვიდე ყრილობისა, რომელიც დაადასტურა მერვე ყრილობამ ერთის ცვლილებით. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს მან მიანიჭა სახალხო კომისარის ზოკიერთ განკარგულებათა შეჩერების უფლება განსაზღვრულ შემთხვევაში.

ეს უფლება განკარგულების შეჩერებისა ენება მხოლოდ და მხოლოდ სახალხო კომისარის უკანონო განკარგულებას, თუ იგი ეწინააღმდეგება უმაღლეს მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებს და დეკრეტებს.

მერვე ყრილობამ განკარგულების შეჩერების უფლება მისცა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს არა იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელი ამ განკარგულებას სთვლის მიზანშეუწონელად, არამედ მაშინ, როდესაც ეს განკარგულება არღვევს კანონიერებას. სხვანაირათ, რომ ვსთქვათ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება არა აქვს სახალხო კომისარის განკარგულების არ-

სებით განხილვაში შევიდეს. მას შეუძლია შეეხოს ამ განკარგულებას მხოლოდ ფორმალურად, გამოარკვიოს რომელი კანონის რომელ მუხლს ეწინააღმდეგება ეს განკარგულება და თუ აღმოჩნდება რომ განკარგულება არღვევს კანონიერებას, მაშინ შეუძლიან მისი შეჩერება, რის შესახებ დაუყონებლივ ტელეგრაფით და სადაც ეს არ არის, ფოსტით უნდა ეცნობოს სათანადო სახალხო კომისარს.

მერვე ყრილობამ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ცენტრალურ ორგანოების განკარგულებათა შეჩერებას ან გაუქმებას შეუძლია სახელმწიფოს აპარატის მუშაობაში შეიტანოს არეულობა, განკარგულებათა შეჩერების უფლების განხორციელების ისეთი პირობებით შეზღუდვა, რომელთაც უზრუნველ უნდა ჰყონ მისი სწორი და შესაბამი გატარება ცხოვრებაში. ეს პირობები შემდეგია: 1) განკარგულების შეჩერების შესახებ უნდა იყოს დადგენილება მთელი აღმასრულებელი კომიტეტისა და არა მხოლოდ მისი პრეზიდიუმისა, 2) განკარგულების შეჩერებაში პასუხს აგებს სასამართლოს წესით მთელი აღმასრულებელი კომიტეტი, 3) პასუხს აგებს სასამართლოს წესით სახალხო კომისარი კომისარიატის უკანონო განკარგულებისათვის, იქნება ეს განკარგულება მისი ხელმოწერილი თუ კოლლეგიის მიერ.

დასკვნა: ზემოთნათქვამიდან ცხადია:

- 1) ყველა სახალხო კომისარი განკარგულებებით და ბრძანებებით მიმართავს მხოლოდ იმ განყოფილებებს, რომელსაც თვითონ განაგებს.
- 2) თუ სახალხო კომისარის განკარგულება ეხება სხვა კომისარის კომპეტენციას, განკარგულება უნდა მოახდინონ შეთანხმებით და ორივეს ხელის მოწერით.
- 3) სახალხო კომისარის განკარგულება უდავოდ შესრულებულ უნდა იქნას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონიერებას.
- 4) თუ დაწესებულება, რომელსაც გაეგზავნა განკარგულება მიზანშეწონილობრივობის მოსაზრებით შეუძლებლად სთვლის მის შესრულებას, დასაბუთებული მოხსენება ამის შესახებ უნდა წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს, განკარგულება კი, პრეზიდიუმის ასეთ თუ ისეთი დადგენილების მიუხედავად სისრულეში უნდა მოიყვანოს.
- 5) აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი თუ დაეთანხმება განყოფილების აზრს და განკარგულების შესრულებას თვითონაც მიზანშეუწონილად იცნობს, დასაბუთებული მოხსენება უნდა წარედგინოს უმაღლეს ორგანოს, რომელიც განხილვის შემდეგ გამოიტანს საბოლოო აზრს. ამ გვარი მოხსენების წარდგენა განკარგულების შეჩერების მიზეზი არ უნდა გახდეს და იგი სისრულეში მაინც უნდა იქნას მოყვანილი.
- 6) აღმასრულებელი კომიტეტის მთელ შემადგენლობას უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისარის განკარგულება თუ იგი ეწინააღმდეგება,

რომელიმე კანონს ან მის რომელიმე მუხლს ამ შემთხვევაში აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუძლიან არსებითად შეეხოს განკარგულებას და იგი უნდა იდგეს მხოლოდ ფორმალურ კანონიერების ნიადაგზე, რის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს სათანადო სახალხო კომისარს.

7) თუ აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო კომისარის განკარგულებას შეაჩერებს კანონიერების მოსაზრებით, იგი პასუხს აგებს მთელი თავისი შემადგენლობით სასამართლოს წესით.

8) ასეთსავე პასუხს აგებს სახალხო კომისარი უკანონო განკარგულებისათვის.

სახალხო კომისარის გახლეჩა-გამოშვლის საქმე ფხვნი სტავა.

მოსკოვში მომხდარ ცენტროკავშირის საბჭოთა ყრილობამ ანგარიში გაუწია იმ დიადი მნიშვნელობის მოვლენას, რომელსაც საქონლის გაცვლის საქმე ღებულობს რესპუბლიკისათვის სასურსათო გადასახადის სისტემის დროს, და გადაჭრით აღნიშნა რომ საქონლის გაცვლის ოპერაციებისათვის, გადაცვლილი საქონლის ფონდი სრულად და დაუყონებლივ უნდა მოგროვდეს ერთი ორგანოს ხელში და ასეთ ორგანოდ უნდა იყოს კოოპერაცია.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ ასე მკაფიოდ გატარებული საზღვარი; (სასურსათო სახალხო კომისარიატი—გადასახადი, ცენტროკავშირი—საქონლის გაცვლა), სფეროებით შესძლებს იყოს წარმოების თავდები ამ დიად საქმეში, რაც უნდა მოიყვანონ სისრულეში სასურსათო სახალხო კომისარიატმა და ცენტროკავშირმა; და დღეს სახელმწიფო, სახალხო სასურსათო კომისარიატის სახით სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული პირობით, ეკვრის ცენტროკავშირს.

სახელმწიფოსათვის მთელი სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების და ნედლი მასალის მომარაგება საქონლის გაცვლის საშუალებით, ევალება ცენტროკავშირს, რისთვისაც მთელი საქონელი, რაც კი მოგზოვება სახალხო სასურსათო კომისარიატს, დაუყონებლივ გადადის ცენტროკავშირის ხელში და მომავალში სახალხო სასურსათო კომისარიატი გადასცემს ცენტროკავშირის განკარგულებაში ყველა იმ საქონლის ფონდს, რომელიც კომისარიატის ხელში იქნება და აქვს გადასაცვლელის დანიშნულება.

ცენტროკავშირი სასოფლო მეურნეობის ნაყოფის და ნედლი მასალის დამზადებას აწარმოებს სახალხო სასურსათო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ, სპეციალური ოპერატიული ხელშეკრულობის საფუძველზე, რომლებშიც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული: 1) რაოდენობა ხარისხი და პროდუქტის სახე, 2) დამზადების რაიონები და ჩაბარების პუნქტები, 3) დამზადების და-

სრულების და პროდუქტების ჩაბარების ვადა, 4) გაცვლის ნორმა.

ექვივალენტის რაოდენობა დაწესებული იქნება კერძო საქვივალენტო კომისიის მიერ, რომელიც როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ უნდა შესდგეს კოოპერაციის, სასურსათო კომიტეტის და სტატისტიკური სამართველოს ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან.

ცენტროკავშირმა საქონლის ყოველგვარი გადაცვლის ოპერაცია უნდა აწარმოოს მომხმარებელი კოოპერატივების ორგანიზაციათა საშუალებით, ამავე დროს უნდა მიიზიდოს აგრეთვე სხვა დარგის კოოპერატივთა კავშირიც, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი უნდა მიმართოს კერძო შუამავალის დახმარებასაც.

ცენტროკავშირმა სახალხო სასურსათო კომისარიატს უნდა წარუდგინოს ანგარიში საქონლის ფონდის მოძრაობის, დამზადებული და გადაცემული პროდუქტების რაოდენობის, როგორც ჩაბარებული პროდუქტის, ისე ნედლი მასალის შესანახი ადგილების და აგრეთვე გაცვლილი საქონლის შესახებ.

ფულის, რომელიც საჭიროა საქონლის გაცვლის ოპერაციების მოსაწყობად, სახალხო სასურსათო კომისარიატი თავის დროზე ავანსად აძლევს ცენტროკავშირს და ხელშეკრულების თანახმად შესრულებული ოპერაციებისათვის, აძლევს ცენტროკავშირს განსაზღვრულ საკომისიო ჯილდოს ფულით და საქონლით.

სახალხო სასურსათო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები, კონტროლს უწყვენ ცენტროკავშირის სახელმწიფოებრივ საქონლის გაცვლის ოპერაციას ყოველ ძირითად სტადიაში, როგორც დამზადებას, გადატანას, მიტანას, და საქონლის და სასაფლო მეურნეობის პროდუქტების გაცვლასაც კი.

ასეთია იმ ხელშეკრულების საერთო ნორმები, რომლითაც სახელმწიფოს, სახალხო სასურსათო კომისარიატის საშუალებით, სურს შეეკრას კერძო უფლებრივ დაწესებულებას, კოოპერაციას.

ხელშეკრულება ითვალისწინებს დიდძალი ტექნიკური ხასიათის წვრილმანს და დაერთვის თან მთელი რიგი ინსტრუქციების, მაგრამ მთელი მუშაობა უნდა დასრულდეს ძლიერ მოკლე, ათი დღის ვადის განმავლობაში.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი სერიოზული მომენტი. სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე დაიწყო დამზადება იმ პროდუქტების, რომელიც დააკლდა შარშანდელი მოსავლიდან განაწილის წესით მოგროვილ რაოდენობას. ესეც დაუკონებლივ გადაეცემა ცენტროკავშირს, რომელსაც იგი აწარმოებს, სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ეს ხელშეკრულება სავსებით არკვევს ყველაფერს და უთითებს ყველას თავთავის ადგილს. ცხადია, რომ კოოპერაციისათვის დაკისრებული მოვალეობა, დაუკონებლივ ითხოვს მის განკარგულებაში გამოცდილი პასუხისმგებელი და კოოპერაციის უბრალო მუშაკთა მივლინებას. პარტიამ

უკვე სთქვა სიტყვა. რ. კ. პ. დაეხმარება ცენტროკავშირს.

ხელშეკრულება სახელმწიფოს საქონლის გაცვლის საქმეს ხელსაყრელ პირობებში აყენებს. თუ ამავე დროს მივიღებთ მხედველობაში კოოპერაციის მუშაკთა განწყობილებას, რომლებიც ახლა მოსკოვში არიან, მაშინ იმ დახმარებასთან ერთად, რომელსაც აღმოუჩენენ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ საქონლის გაცვლის ოპერაციები, განვითარდებიან ძლიერ ჩქარა და რომ ახალი დაგალება მომხმარებელი კოოპერაციისათვის დაკისრებული, წარმატებით იქნება შესრულებული.

„ივესტია“

ადინისტრაციული სასჯელის შესახებ.

სახელმწიფო ხელისუფლება, მისწრაფის რა მის წინ მდგომ მიზნების განხორციელებისაკენ, სარგებლობს ყოველი საშუალებით, რაც კია მის განკარგულებაში. იმ შემთხვევაში, როცა მისი ბრძანება არ სრულდება ნებაყოფლობით, იგი მიმართავს იძულებითი ზომას, რომელიც მრავალ სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება. ძველი, პოლიციური სახელმწიფო, შეუზღუდველ მონარქით სათავეში, აშკარა საზღვარს სდებდა მმართველთა და ხელქვეითებს შორის. მმართველი რისხვით ეგლინებოდენ ხელქვეითებს და თავზარს სცემდენ პოლიციური ზედგავლენის ათასგვარი სახის ზომით, ცდილობდენ რა აეძულებიათ ისინი ეცხოვრათ ისე როგორც ამას ზევიდან ბრძანებდენ. სახელმწიფოსა და პიროვნების, „საზოგადოებისა“ და სახელმწიფოს დაპირისპირების საკითხი, აი ცენტრალური თემა, რომელსაც ამუშავებდა სახელმწიფო სამართლის ლიბერალურ ბურჟუაზიულ დოქტრინა.

ბუნებრივია რომ რაკი შეჩერება მოხდა უფლებრივ სახელმწიფოზე, როგორც იდეალზე, ბურჟუაზიული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პრაქტიკას და სახელმწიფო სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებას, არ შეეძლო დაეთრგუნა წინააღმდეგობა საზოგადოებასა და სახელმწიფოს, მართველებსა და ხელქვეითებს შორის და მაშინ, როცა კი არსებობს ასეთი წინააღმდეგობა, საკითხი უფლებრივ გარანტიებზე ადინისტრაციული ზედგავლენის და სასჯელის უზომოდ განვითარების წინააღმდეგ, ატარებს ძლიერ მწვავე ხასიათს.

ხელისუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლა პრინციპიალურად სპობს დანაწილებას მართველებსა და ხელქვეითებზე, ეს შედეგია კლასიური საზოგადოების და კლასიური სახელმწიფოს მოსპობის. მთელი საბჭოთა სისტემა აგებულია პოლიტიკური ხელისუფლებისა და მართვაგამგეობისათვის მცხოვრებთა ფართე მასის ფაქტიური მონაწილეობისათვის მიზიდვის პრინციპზე. თავის მომავალ განვითარებაში იგი მიგვიყვანს პოლიტი-



კურ იძულებიან ელემენტების სრულ გაქრობამდე, უსახელმწიფო საზოგადოებრივ წყობილებამდე, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ ხანაში, საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც იშვა გაალმასებული საგარეო და სამოქალაქო ომების გრგვინვასა და ქარიშხალში, ყოველის მხრიდან მტრებით გარშემორტყმულს, არ შეუძლია და არც უნდა გაუშვას თავის ხელიდან იძულების და სასჯელის იარაღი ტერორამდეც კი, რომელიც იწვევის მზრდანებელი კლასების წარმომადგენლების მხრიდან პროტესტის ბევრპირმომთნე ამოძახილს. აღებული პოზიციების გასამტკიცებელ ბრძოლაში და პროლეტარული რევოლიუციის მიხსწევათა გაფართოების დროს, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ცხადია, მიმართავს ზედგავლენის ყოველ ფორმას და სახეს, რომელსაც ახორციელებს მისი სხვადასხვა ორგანო სასამართლოსა, სამართველოსი ან სპეციალურად შექმნილი დაწესებულებების სახით. ბრძოლის დროს მისი ბრძანებანი უსათუოდ უნდა იქნეს ასრულებული, და მტრების ცდა მისთვის ზიანის მიყენებისა, უნდა იქნეს აცილებული და ჩაშლილი და თუ ჩვენ ვაყენებთ საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მხრივ ადმინისტრაციული ზედგავლენის ზომების შესახებ, არა იმიტომ რომ ეს საკითხი შეიცავდეს გარანტიის რომელიმე სახეს, როგორც ეს ესმისთ უფლებრივი სახელმწიფოს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ დოქტრინას, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ საკითხი გადავვაქვს პრაქტიკული მიზანშეწონილობების და ნაჩვენები ზომების სინამდვილეში განხორციელების სფეროში.

თუ კი ოქტომბრის რევოლიუციის პირველ პერიოდში, გასაოცარი იქნებოდა ლაპარაკი ადმინისტრაციული ზედგავლენის ზომების რამდენადმე მწყობრი სისტემის შექმნის შესახებ, თუ კი მაშინ აუცილებელ საჭიროებას წარმომადგენდა და მიზანშეწონილიც იყო ჯერ კიდევ გაუმაგრებელი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების რუსეთის უზარმაზარ სიერცხვზე, ჰქონოდა სრული თავისუფლება საშუალების ამორჩევაში თავის არსებობის განსამტკიცებლად მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს რაკი ისინი არ სთმობდენ თავის პოზიციებს, ახლა, შეიძლება დადგა ისეთი დრო როცა შეტანილ უნდა იქნეს ერთსახეობა და სისტემა ამ დარგში, საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ადგილისათვის. პრაქტიკა ადმინისტრაციული სასჯელის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტის სფეროში შესამჩნევად მდიდარი და მრავალფეროვანია. თუ კი ერთ გუბერნიაში სასურსათო განაწილების შეუსრულებლობა და ბანდიტიზმის ხელის გადაფარება იწვევს სასჯელათ მილიონიან კონტრიბუციას, მეორეში სასჯელი განისაზღვრებოდა რამდენიმე კაცის საკონცენტრაციო ბანაკში დაპატიმრებით. მავალითად, ვორონეჟის გუბერნიაში, ხეხილის ბაღების დაცვის წესების შეუსრულებლობა ისჯება მსხვილი თანხის ჯარიმით, რომელიც გადასახდელად ედება მთელ რიგს უახლოესი სოფლებისას. ზოგიერთ სხვა ადგილას კი, სახალხო ქო-

ნების დასაცავად ზომების მიუღებლობას, მოსდევს მხოლოდ საყვედურის გამოცხადება. სასჯელის ასეთი სიჭრელე, რომელსაც ადგილი აქვს ხოლმე სხვა და სხვა გუბერნიაში, ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც, პირი რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ერთ გუბერნიაში, თავს დაახწევს რა მის საზღვარს, დაისჯება იმ სასჯელით, რომელიც არსებითად განიჩევა იმისაგან, რომლითაც იგი იქნებოდა დასჯლი იმ ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, სადაც დანაშაული ჩაიდინა.

ამ რიგათ უფლებრივი შეგნება ფართე მშრომელი მასის იჩრდილება იმ არეგ-დარევით, რომელსაც აქვს ადგილი ადმინისტრაციული სამართველოს ორგანოების მოქმედებაში.

მეორე მხრივ საკმაოდ მრავალ გვარია ის ორგანოები, რომლებიც აწესებენ ადმინისტრაციულ სასჯელს. სიმრავლე იმ ორგანოების, რომლებსაც აქვთ მინიჭებული უფლება ადმინისტრაციული სასჯელის გადაწყვეტის მრავალფერობა ფორმის და მათი სახის, ჰქმნიან ერთის მხრით, ნერვიული და გაუგებარ მდგომარეობას მცხოვრებლებში. მეორეს მხრივ კი ასუსტებენ მიღებული რეპრესიების გავლენას. მუშაობა, რომელიც უნდა გაკეთდეს ადმინისტრაციული სასჯელის მისჯვის მოწესრიგების საქმეში, სამი მიმართულებით უნდა შესრულდეს: ჯერ ერთი, სასურველია შეერთება იმ დაწესებულებათა მოქმედების, რომლებსაც აქვთ უფლება ადმინისტრაციული სასჯელის გადაწყვეტის ერთ რომელიმე ორგანოში, იქნება ეს ჩეკას სამართველოს განყოფილების კოლეგია, თუ სპეციალურად შექმნილი საუწყებთაშორისა ორგანო, რომელიც შეაერთებს ადმინისტრაციული მართველობის ყველა ორგანოს მოქმედებას; მეორე—უნდა შემუშავდეს სასჯელის კიბე და განისაზღვროს მისი სახე; კერძოთ უნდა მიექცეს ყურადღება ფულით დაჯარიმებას და კონტრიბუციას, რომელიც წარმოების მდიდარი წრეების დასოფლის ბურჟუაზიის ექსპროარიაციისა და ფულის ღირებულების საოცარი სისწრაფით დაცემის გამო, ლებულობს თანდათან ნაკლებ მნიშვნელობას; მესამე—იმის გამო რომ ადმინისტრაციული სასჯელის მისჯის დროს, შესაძლოა შეცდომის დაშვება, გაუგებრობა, ხანდახან კი ბოროტმოქმედებაც სასჯელის გადაწყვეტი ორგანოების მხრივ, საჭიროა დაწესება მათი მოქმედებისათვის მეთვალყურეობის მალა მდგომი სახელმწიფო ორგანოების მხრივ, და აგრეთვე მოქალაქეთათვის მიცემა უფლების და შესაძლებლობის ამ ორგანოების დადგენილების განსაჩივრებისა, ადმინისტრაციულის ან სასამართლოს წესით. აშკარაა, რომ სამოქალაქო ომის გათავების და ცხოვრების უფრო ნორმალური და მშვიდი პირობების დამყარების შემდეგ თავისთავად შემცირდება ადმინისტრაციული სასჯელის სფერო, და ახლაც საჭირო ხდება აშკარა განსხვავების გატარება იმ ადგილებს შორის, რომელშიაც გამოცხადებულია საშხედრო წესები და რომელშიც ნორმალური პირობებია

ორგანი.

შინაარსი

გე-XI-ე №-ში მოთავსებულ მასალები:

- | | |
|---|---|
| 1) დეკრეტი № 47 საქ. ს. ს. რ. რ. კ. ნავთის საცავების ნაციონალიზაციების შესახებ. | 17) " № 71 ს. ს. ს. რ. რ. კ. რკინის გზებზე არსებულ გადაზ. წესის დაც. შესახებ |
| 2) " № 48 საქ. ს. ს. რ. რ. კ. მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. | 18) " № 72 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ბიბინეიშვილის ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილედ დანიშნვის შესახებ. |
| 3) " № 49 საქ. ს. ს. რ. რ. კ. სტამბებისა, ასოთ ჩამომსხმელი სახელოსნოებისა და ლიტოგრაფიების ნაციონალიზაციის შესახებ. | 19) " № 73 ს. ს. ს. რ. რ. კ. რევ. კომიტეტის მდივანის ამხ. შ. გაბრიჩიძისათვის ერთი თვის შევებულების მიცემის შესახებ. გვ. 3-5. |
| 4) " № 50 საქ. ს. ს. რ. რ. კ. საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. გვ. 1-3. | 20) დადგენილება № 29 ს. ს. ს. რ. რ. კ. თამასუქების და სხვა უდავო ვალდებულებათა განაღდებას ვალდის გაგრძელ. შესახებ |
| 5) ბრძანება № 59 საქ. ს. ს. რ. კ. ამხ. ამაიკ ნაზარეტიანის ფინანსთა და იუსტიციის კომისარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. | 21) " № 30 ს. ს. ს. რ. რ. კ. მძარცველობისა და ბანდიტიზმის მოსპობის შესახებ. |
| 6) " № 60 საქ. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. შ. ელიაფას საგარეო ვაჭრობის კომისარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. | 22) " № 35 ს. ს. ს. რ. რ. კ. სახელმწიფოს კუთვნილი ქონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. |
| 7) " № 61 საქ. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ელერდაშვილის სასურსათო სახ. კომისარიატის კოლ. წევრ. დანიშნვის შესახებ. | 23) " № 36 ს. ს. ს. რ. რ. კ. პოლიტიკურ განათლების მთავარი კომ. შესახებ. |
| 8) " № 62 საქ. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ს. გეგეკჯორის საქ. უმაღლეს რევილიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარედ დანიშნვის შესახებ. | 24) " № 38 ს. ს. ს. რ. რ. კ. რუს., აზერეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ნიშნების საქ. რესპ. ტერიტორიაზე თავისუფ. კურსით მიღების შესახებ. |
| 9) " № 63 საქ. ს. ს. რ. რ. კ. საქ. რევ. კომიტეტის პრეზიდიუმის უმაღლესობის დამტკიცების შესახებ. | 25) " № 39 ს. ს. ს. რ. რ. კ. კატეგორიის გაღმე სატარიფო განაკვეთის შესახებ. |
| 10) " № 64 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ს. გეგეკჯორის ტფ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნვის შესახებ. | 26) დებულება ს. ს. ს. რ. რ. კ. პროფეს. მომუშავეთა მომზადების და პროფ. განათ. მთავარ კომიტ. შესახებ. გვ. 7-8. |
| 11) " № 65 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ი. ბოლქვაძის გაზეთისა და წიგნის ქალაქის საარციხვო და განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს გამგედ დანიშნვის შესახებ. | 27) ინსტრუქცია შინ. საქ. სახ. კომ. საშაზრო რევკომ. თავმჯდომ. რეგულიარ. ყრილობათა მოსაწყობად. გვ. 8-10. |
| 12) " № 66 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ს. გეგეკჯორის უმაღლეს რევკომ. ტრიბუნალის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. | 28) " " შინ. საქ. სახ. კომ. სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა ბინებით დაკმაყოფილების შესახებ. გვ. 10-11. |
| 13) " № 67 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. შ. ორახელაშვილის გან. სახ. კომ. თანამ. განთავისუფლების შესახებ. | 29) " " შინ. საქ. სახ. კომ. ცირკულიარი ყველა მაზრის რევკომს. გვ. 11. |
| 14) " № 68 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ვ. კანდელაკის მიწად-მოქმედ. სახ. კომისარიატის კოლეგ. წევრად დანიშნვის შესახებ. | 30) ბრძანება შინ. საქ. სახ. კომისარისა. გვ. 11-12. |
| 15) " № 69 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. შ. ჩოდრიშვილის იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის თანამდ. განთავისუფლებისა და უმაღ. რევ. ტრიბუნალის კოლეგიის წევ. დანიშნვის შესახებ. | 31) განმარტება რეკვიზიციის და კონფისკაციის შესახებ გვ. 12-13. |
| 16) " № 70 ს. ს. ს. რ. რ. კ. ამხ. ვარძიელის შინ. საქ. კომის. კოლეგიის წევრის | 32) დადგენილება სახ. სასურ. კომ. პურისა და სიმინდის გამოტანის შესახებ. გვ. 13-14. |
| | 33) " " შრომის სახ. კომისარ. აღვლობრიც მუშა მოსამსახურეთა და დაშვირავებელთა შორის კონფლიქტების მოგვარების შესახებ. გვ. 14. |
| | 34) " " საქ. პროფ. კავშ. საბჭოს შრომის მომწესრიგებელ განყოფილებისა. |
| | 35) " " მუშებისა და მოსამსახ. სოციალური დაზღვევის შესახებ. |